

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა	9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. ფული და ფულის ექვივალენტები	13
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	14
6. ძირითადი საშუალებები	15
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
8. საგადასახადო ვალდებულებები	16
9. მისაღები დივიდენდები და პროცენტები	17
10. ამონაგები	17
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	17
14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა	18
15. ფინანსური ხარჯი- წმინდა	18
16. იჯარა	18
17. კაპიტალი	18
18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
19. COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე	19

შპს მაქს იმპორტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,984,511	1,064,962	585,488
საინვესტიციო ქონება		-	-	-
		1,984,511	1,064,962	585,488
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	387,349	2,741,626	168,382
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	3,052,991	1,723,311	1,994,620
მარაგები	5	704,535	543,805	952,930
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		189,812	-	1,870
		4,334,687	5,008,743	3,117,801
მთლიანი აქტივები				
		6,319,198	6,073,705	3,703,289
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5,640,947	4,482,380	2,493,430
გადაფასების რეზერვი		-	-	-
		5,640,947	4,482,380	2,493,430
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
ანარიცხები		-	-	-

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები		-	137,586	-
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	649,079	1,420,766	1,022,466
საგადასახადო ვალდებულებები	8	29,173	32,973	187,393
გადასახდელი პროცენტი		-	-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
		678,252	1,591,325	1,209,859
მთლიანი ვალდებულებები		678,252	1,591,325	1,209,859
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,319,198	6,073,705	3,703,289

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
 დირექტორი დავით ზურაბიშვილი
 თბილისი, საქართველო
 30 სექტემბერი 2021 წელი



შპს მაქს იმპორტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
ამონაგები	10	19,618,710	17,570,870
თვითღირებულება	11	(16,840,162)	(14,143,210)
საერთო მოგება		2,778,548	3,427,660
სხვა შემოსავლები		61,843	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(518,870)	(611,787)
მიწოდების დანახარჯები	13	(850,593)	(794,167)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(9,303)	11,108
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		1,461,625	2,032,814
ფინანსური შემოსავალი		189,812	111,269
ფინანსური ხარჯი		(9,801.52)	(20,442.35)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	15	180,010	90,827
მოგება დაბეგვრამდე		1,641,635	2,123,641
მოგების გადასახადი		(72,542)	(29,428)
წმინდა მოგება		1,569,093	2,094,213
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,569,093	2,094,213

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2021 წელი

შპს მაქს იმპორტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	-	2,493,430	2,493,430
წმინდა მოგება	-	-	2,094,213	2,094,213
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,094,213	2,094,213
გაცემული დივიდენდი	-	-	(105,263)	(105,263)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,482,380	4,482,380
წმინდა მოგება	-	-	1,569,093	1,569,093
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,569,093	1,569,093
გაცემული დივიდენდი	-	-	(410,526)	(410,526)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	5,640,947	5,640,947

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2021 წელი



შპს მაქს იმპორტი

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	31/12/2020	31/12/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1,569,093	2,094,213
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>	44,226	6,180
- გადასახადები	72,542	29,428
- ცვეთა	142,390	78,687
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
- მარაგების გაუფასურება	-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	9,303	(11,108)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	(180,010)	(90,827)
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(2,275,023)	932,393
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(1,329,680)	271,308
- მარაგები	(160,729)	409,125
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(780,813)	406,380
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(3,800)	(154,420)
- გადავადებული შემოსავალი	-	-
- ანარიცხები	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(661,705)	3,032,786
- მიღებული პროცენტი	-	113,139
- გადახდილი პროცენტები	(9,802)	(20,442)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(72,542)	(29,428)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(744,048)	3,096,055

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

- ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,061,940)	(558,161)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან (1,061,940) (558,161)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	-	137586
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(137,586)	
- გადახდილი დივიდენდები	(410,526)	(105,263)

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (548,112) 32,322

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)

(2,354,100) 2,570,217

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი

2,741,626 168,382

გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება

(177) 3,028

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი

387,349 2,741,626

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დავით ზურაბიშვილი

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2021 წელი



შპს მაქს იმპორტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

მაქს იმპორტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 30 აგვისტოს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020 წელი	2019 წელი
დავით ზურაბიშვილი	100%	100%

კომპანიის საქმიანობაა ცემენტის წარმოება და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2019 და 2020 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2019 წლის 31 დეკემბრის ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრის შესაძარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს შემცირებულია კომპანიის გამომუშავებული წმინდა მოგება - 1 569 092 ლარი (2019 წელს 2 094 213 ლარი) . გაზრდილია გრძელვადიანი აქტივები. ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს, როგორც ჯამურს ასევე მიმდინარეს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ , როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით , ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოიცა და დამტკიცდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგირი საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაში შედის პირდაპირი დანახარჯები (მასალები, მუშების შრომითი ანაზღაურება), ასევე ზედნადები ხარჯები (ელექტრო ენერგია, გაზი, საწვავი და ა.შ.)

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტიურად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	31/12/2020	31/12/2019
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	294,913	2,599,384
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	92,437	142,242
სულ	387,349	2,741,626

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,257,247	888,973
გადახდილი ავანსები	92,744	81,339
მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან	1,703,000	753,000
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე		
სხვა მოთხოვნები		
სულ	3,052,991	1,723,311

მოთხოვნა სასესხო ვალდებულებიდან მოიცავს არადაკავშირებულ კომპანიებზე გაცემულ მოკლევადიან სესხებს განაკვეთით 11,3 % და 12 %.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები	31/12/2020	31/12/2019
ნედლეული და მასალები	607,622	476,488
დაუმთავრებელი წარმოება	96,913	67,317
შხა პროდუქცია		
სულ	704,535	543,805.36

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	აგეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	თავრით აღებული ქირების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2019	-	-	670,013	8,077	547,983	-	1,226,073.16
შემოსვლა	518,830	113,590	42,894	2,337	342,731	41,558	1,061,940
გადაფასება							-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	518,830	113,590	712,907	10,414	890,715	41,558	2,288,013
ცვეთა და გაუფასურება							-
31 დეკემბერი 2019	-	-	102,976	1,826	56,309	-	161,111
პერიოდის ცვეთა	-	934	56,900	2,292	76,031	6,234	142,390
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	934	159,876	4,118	132,340	6,234	303,502
წმინდა საბალანსო ღირებულება							-
31 დეკემბერი 2019	-	-	567,037	6,251	491,674	-	1,064,962
31 დეკემბერი 2020	518,830	112,656	553,030	6,296	758,375	35,324	1,984,511

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. ცვეთის მეთოდი წრფივი

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო ვალდებულებები	(632,276)	(1,417,205)
მიღებული ავანსები	(16,803)	(3,560)
სულ	(649,079)	(1,420,766)

8. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები	31/12/2020	31/12/2019
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	(5,573)	(9,288)
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა		
საშემოსავლო გადასახადები	-	438
დღგ	(11,213)	(59,590)
ქონების გადასახადი	(4,401)	(2,828)
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	(6,720)	51,051
სხვა	(1,265)	(68)
საბაჟო გადასახადები	-	(12,689)
სულ	(29,173)	(32,973)

9. მისაღები დივიდენდები და პროცენტები.

მისაღები დივიდენდები და პროცენტები	31/12/2020	31/12/2019
მისაღები დივიდენდები	-	-
მისაღები პროცენტები	189,812	-
	189,812	-

10. ამონაგები

ამონაგები	31/12/2020	31/12/2019
საქონლის გაყიდვა	(19,485,219)	(17,559,249)
მომსახურების გაწევა	(133,491)	(11,620)
სულ	(19,618,710)	(17,570,870)

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, აგრეთვე თანამშრომელთა შრომის პირდაპირ დანახარჯებს, საწვავს, ელექტრო ენერგიას.

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხელფასებს, ძირითადი საშუალებების ცვეთას, სხვა საგადასახადო ხარჯებს და სხვა ადმინისტრაციულ დანახარჯებს.

13. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების 75 % უკავშირდება დანახარჯებს საწვავზე და შრომის ანაზღაურებას.

14. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა

სხვა შემოსულობა/ზარალი უკავშირდება მხოლოდ საკურსო და კონვერტაციის სხვაობებს.

საკურსო სხვაობების გაშიფვრა	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები სავაჭრო მოთხოვნები	(177)	3,028
სავაჭრო ვალდებულებები	(9,126)	8,080
სულ	(9,303)	11,108

15. ფინანსური ხარჯი- წმინდა

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი უკავშირდება გაცემული და მიღებული სესხების პროცენტებს.

16. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მიწა და ფართი ოფისისათვის, აგრეთვე რიგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

17. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან.

18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას

19. COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წელს COVID 19 -პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო რეგულაციების გამო, საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა დადგა ფუნქციონირებადი საწარმოს შეწყვეტის საფრთხის წინაშე. მიუხედავად ამისა შპს მაქს იმპორტის საქმიანობისა და გასაყიდი საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე , საზოგადოების შემოსავლები წინა წელთან შედარებით გაიზარდა, ხოლო ძირითადი მომხმარებლები არ დამდგარან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე და არც მომავალში აქვს კომპანიას მსგავსი მოლოდინი.